კანონთა და მთავრობის განკარგულებათა

კრებული

იუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყოფილების გამოცემა.

1919 წ. მაისის 12 № 6 პირველი ნაწილი

13745

შინაარსი:

კან. 41. დეკრეტი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შედგენისა.

42. დამფუძნებელ კრების წევრობისა და მოხელეობის შეუთავსებლობისა და წევრთა გასამრჯელოსი.

43. დადგენილება ახალციხის ამბების გამოსარკვევად გაგზავნილ საგანგებო კომისიის მოხსენების გამო.

44. საქართველოს დამფუძნებელ კრების 1919 წ. ხარჯთ-აღრიცხვისა.

45. დადგენილება უწყებათა ცენტრალურ დაწესებულების რევიზიისათვის მცირე კომისიის დაარსებისა.

46. დეკრეტი ქალაქებში დაუსახლებელ ადგილ-მამულზე აკრძალვის დადებისა.

47. დადგენილება სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეთათვის ავანსის მიცემისა.

48. სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთა სალიკვიდაციო შემწეობის კანონის (1918 წ. ივლისის 5-ს) მეორე მუხლის შეცვლისა.

49. წესი დამფუძნებელ კრების მიერ მიღებულ კანონის, დეკრეტის და დადგენილების გამოქვეყნებისა.

50. დადგენილება სასამართლოს განაჩენის შეცვლის შესახებ შემოსულ თხოვნების განხილვისა.

51. დეკრეტი სახელმწიფოს ქალალდების დამმზადებელ ექსპედიციისათვის იარაღისა და მასალის შესაძენად ერთი მილიონი მანეთის გადადებისა.

52. დეკრეტი შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში ორი მილიონი (2.000.000) მანეთის გადაცემისა ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში დაზარალებულთა დასახმარებლად.

53. დეკრეტი ამიერ-კავკასიის ბონების გამოცემის განგრძობისა.

54. რესპუბლიკის სახაზინო და კახეთის რკინის გზაზე ტარიფის გადიდებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ა.ა.ფ. ბ. ბერიძეების
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
А. А. Бериашвили

41. დ ე კ რ ე ტ ი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შედგენისა.

1. დაევალოს დამფუძნებელ კრების წევრს ნოე ჟორდანიას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შედგენა მისივე თავმჯდომარეობით.

2. მთავრობის თავმჯდომარე იმავე დროს საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელია.

1919 წ. მარტის 14.

დედანს ხელს აწერს:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

---

42. კ ა ნ ო ნ ი

დამფუძნებელ კრების წევრობისა და მოხელეობის შეუთავსებლობისა და წევრთა გასამრჯელოსი.

1. დამფუძნებელ კრების წევრობა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებაში სამსახური ერთმანეთთან შეუთავსებელია.

შ ე ნ ა შ ვ ნ ა. ეს დებულება არა ვრცელდება: მინისტრებსა, მათს ამხანაგებსა, სახელმწიფო კონტროლიორსა, მის ამხანაგსა, ელჩებსა და უმაღლეს სკოლის პროფესორებსა, პრივატდოცენტებსა და რექტორებზედ. არა ვრცელდება აგრეთვე სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის წევრებზედ. აქ ჩამოთვლილ თანამდებობათა შეთავსება დამფუძნებელ კრების წევრობასთან შესაძლებელია.

2. ადგილობრივ თვითმართველობათა გამგეობის წევრს არ აეკრძალება იყოს იმავე დროს დამფუძნებელ კრების წევრად.

3. დამფუძნებელ კრების წევრს გასამრჯელოდ მიეცეს ათას ხუთასი (1500) მან. თვიურად.

4. თანამდებობის პირნი, პირველსა და მეორე მუხლში მოხსენებულნი, გასამრჯელოს მიიღებენ ერთ-ერთ ადგილიდან, რომელსაც ამოირჩევენ.

5. ყოველი წევრი, რომელიც შეუთავსებელ თანამდებობას ასრულებს, ვალდებულია ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამ კანონის მიღებისა შემოიტანოს განცხადება, რომ მან შეუთავსებელი თანამდებობა

დასტოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში დაჰკარგავს დამფუძნებელი კრების წევრის უფლებას და მის ადგილს დაიჭერს მორიგი კანდიდატი სათანადო სიიდან.

6. კანონი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

1919 წ. აპრილის 4.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის მოადგილე **ევ. გეგეჭკორი.**

---

43. დადგენილება

ახალციხის ამბების გამოსარკვევად გაგზავნილ საგანგებო კომისიის მოხსენების გამო.

მოისმინა რა საგანგებო კომისიის მოხსენება ახალციხის მაზრაში მომხდარ ამბების გამო და მთავრობის განმარტება ამ საგანზე, დამფუძნებელი კრება აღიარებს, რომ აღნიშნულ მხრის დასამშვიდებლად საჭიროა: ა) ენერგიული ბრძოლა მოღალატეთა წინააღმდეგ და ბ) დემოკრატიულ რეფორმების ცხოვრებაში გატარება.

ამისთვის დამფუძნებელი კრება ავალებს მთავრობას:

1. მიიღოს ზომები ადმინისტრაციის მოსაწყობად, რათა შესაძლებელი გახდეს დემოკრატიულ რეფორმების, მათშორის პირველ რიგში საადგილ-მამულო **რეფორმის** განხორციელება და აღმოუჩინოს დაზარალებულ მცხოვრებთ დახმარება სურსათისა და ხე-ტყის მასალის მიწოდებით.

2. დროებით, სანამ გარეშე საფრთხე იქნება მოსალოდნელი, დასტოვოს ამ მხარეში სამხედრო წესები და მომქმედ სამხედრო და სამოქალაქო ძალების შესათანხმებლად დანიშნოს თავისი საგანგებო რწმუნებული.

1919 წ. აპრილის 4.

დედანს ხელს აწერს:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

---

44. კანონი

საქართველოს დამფუძნებელ კრების 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა.

1. დამტკიცებულ იქნეს ამ კანონთან დართული საქართველოს დამფუძნებელ კრების 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

2. დამტკიცებულ იქნეს ამ კანონთანვე დართული საქართველოს დამფუძნებელ კრების კანცელარიის შტატი.

3. პირველ მუხლში აღნიშნულ ხარჯთ-აღრიცხვის სისრულეში მოსაყვანად გაღებულ იქნეს სახელმწიფოს ხაზინიდან ამა 1919 წლის იანვრის 1-დან წლის დამლევამდე სამი მილიონი ორას ოცდასამი ათას ხუთას ათი (3.223.510) მან.

1919 წ. აპრილის 8.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის მოადგილე **ევ. გეგეჭკორი.**

საქართვ. დამფ. კრების 1919 წ. ხარჯთ-აღრიცხვის კანონის 1-ლ მუხ. დანართი:

საქართველოს დამფუძნებელ კრების 1919 წლის

ხარჯთ-აღრიცხვა.

№№ რიგზე	ხარჯის საგანი	1919 წ. იანვრის 1-დან წლის დამლევამდე მანეთობით
1	დამფუძნებელ კრების წევრთა გასამრჯელო (ყოფილ პარლამენტის 147 წევრს ორი თვისა და 11 დღისა თვიურად 900 მან. ანგარიშით 313.110 მან., დამფუძნებელ კრების 130 წევრს—9 თვისა და 19 დღისა, თვიურად 1.500 მან. ანგარიშით—1.878.500 მან.). .	2.191.610
2	დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის მოადგილეს საწარმომადგენლო ხარჯისათვის	15.000
3	დამფუძნებელ კრების კანცელარიის მოსამსახურეთა ჯამაგირისათვის	465.600
4	საკანცელარიო, საფოსტო, სატელეგრაფო და სხვა სამეურნეო ხარჯისათვის	100.000
5	კანცელარიის საჭიროებისათვის დროებით მოწვეულ მომუშავეთა სასყიდლად	10.000
6	სხვა-და-სხვა მოულოდნელ შემთხვევის გამო მოსამსახურეთა დახმარებისათვის	15.000
7	ბიბლიოთეკის შევსებისა და სხვა ხარჯისათვის	200.000
8	სასტამბო ხარჯისათვის	100.000
9	დამფუძნებელ კრების წევრთა საგზაო და დღიური ხარჯი	100.000
10	კომისიებში მოწვეულ მცოდნე პირთა გასამრჯელოსათვის	20.000
11	გაუქმებულ თანამდებობის პირთა დაკმაყოფილებისათვის 1919 წ. იანვრისა, თებერვლისა და მარტის ჯამ. .	6.300
	ჯამი	3.223.510

1919 წ. აპრილის 8.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევ. გეგეჭკორი.**

საქართ. დამფუძ. კრების 1919 წ. ხარჯთ-აღრიცხვის კანონის მე-2 მუხ. დანართი.

საქართველოს დამფუძნებელ კრების კანცელარიის

შ ტ ა ტ ი.

№№ რიგზე	თანამდებობანი	1919 წ. იანვრის 1-დან წლის დამლევ. მ ა ნ ე თ ო ბ ი თ					შენიშვნა
		თანამდებ. რიცხვი	თვიური ჯამ. თვით.	თვიური ჯამ. ყველას	წლიური ჯამ. თვეს თვეულს	წლიური ჯამ. ყველას	
1	კანცელარიის გამგე . . .	1	1500	1500	18000	18000	**მე-6 მუხლისათვის.** ამ შტატით აღრიცხული ჯამაგირი მანქანით გადამწერია-თვის იმ პირობით დაენიშნა, რომ განსაზღვრულ ექვსი საათის დღიურ მუშაობის გარეშე ვალდებული არიან ყოველთვის, როცა საჭიროება მოითხოვს, ზედმეტიც იმუშაონ და ამ ზედმეტის მუშაობისათვის განსაკუთრებული გასამრჯელო არ მიეცემათ.
2	საბიუჯეტო საფინ. განყ. საქმეთა მმართველი .	1	1400	1400	16800	16800	
3	საქმის მწარმოებელი . .	8	1000	8000	12000	96000	
4	ექსპედიტორი	1	850	850	10200	10200	
5	ექსპედ. თანაშემწე . . .	1	750	750	9000	9000	
6	მანქ. გადამწ. უფრ. კატ. .	7	800	5600	9600	67200	
7	„ „ უმც. „ „	3	750	2250	9000	27000	
8	სტენოგრაფ. ოქმებ. რედაქტორი—უფროსი .	1	1100	1100	13200	13200	
9	სტენოგრაფ. ოქმებ. რედაქტორი—უმცროსი .	1	950	950	11400	11400	
10	სტენოგ. ოქმ. შემდგენ. .	8	1100	8800	13200	105600	
11	ეგზეკუტორი	1	800	800	9600	9600	
12	ეგზეკუტ. თანაშემწე . .	1	650	650	7800	7800	
13	ქვესტორი	1	1100	1100	13200	13200	
14	ქვესტ. თანაშ.-უფროსი .	1	900	900	10800	10800	
15	„ „ უმცროსი .	1	800	800	9600	9600	
16	ბუხჰალტერი.	1	950	950	11400	11400	
17	კანცელარიის მოხელე, მორიგეობისათვის. .	1	650	650	7800	7800	
18	ბიბლიოთეკის გამგე . .	1	1000	1000	12000	12000	
19	ბიბლ. გამ. თანაშემწე .	1	750	750	9000	9000	
	ჯ ა მ ი	41	—	38800	213600	465600	

1919 წ. აპრილის 8.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის
მოადგილე **ევ. გეგეჭკორი.**

45. დადგენილება

უწყებათა ცენტრალურ დაწესებულების რევიზიისათვის მცირე კომისიის დაარსებისა.

1. დამფუძნებელ კრების ყოველი კომისია გამოჰყოფს თვისი შედგენილობიდან მცირე კომისიას, რომელსაც დაევალება სათანადო უწყების ცენტრალურ დაწესებულებაში მოახდინოს როგორც შტატის, ისე ფაქტიურ მდგომარეობისა და საქმიანობის რევიზია.

2. ინსტრუქციას მცირე კომისიისათვის შეიმუშავებს სათანადო კომისია.

3. თუ მცირე კომისიისათვის საჭირო იქნება განსაკუთრებული უფლება ამა თუ იმ ზომის მისაღებად, ასეთ უფლებას დამფუძნებელი კრებისაგან გამოითხოვს.

1919 წ. აპრილის 11.

დედანს ხელს აწერს:

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის

უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

---

46. დეკრეტი

ქალაქებში დაუსახლებელ ადგილ-მამულებზე აკრძალვის დადებისა.

1. დროებით აიკრძალოს ქალაქის ფარგლებში მდებარე დაუსახლებელ ადგილ-მამულის სხვისათვის საკუთრებად გადაცემა, დაგირავება და აგრეთვე იჯარით გაცემა ერთის წლის მეტის ვადით დღიდან ამ დეკრეტის მიღებისა.

2. დასახლებულ ადგილ-მამულად, რომელიც ამ შეზღუდვისაგან თავისუფალია, ითვლება ყოველი მიწა, რაზედაც ამ დეკრეტის გამოცემამდე სახლი, ქარხანა ან სხვა შენობა იყო და აგრეთვე ტერიტორია ამ შენობის გარშემო საერთო სივრცით არა უმეტეს ერთის დესეტინისა.

3. ყოველი ხელშეკრულობა, რომელიც ამ დეკრეტის გამოცემამდე ან შემდეგ არის დადებული და ეხება აკრძალვა-დადებულ მიწის იჯარით გაცემას ერთის წლის მეტის ვადით, ძალას ჰკარგავს ერთის წლის გასვლისათანავე დღიდან ამ დეკრეტის მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

4. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

1919 წ. აპრილის 15.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის

უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის

მოადგილე **ევ. გეგეჭკორი.**

47. დადგენილება

სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეთათვის ავანსის მიცემისა.

1. მიეცეს სახელმწიფო სამოქალაქო უწყების ყველა მოსამსახურეს, გარდა იმ მოსამსახურეთა, რომელთაც ჯამაგირები მოემატათ ამა წლის 1-ლ იანვრის შემდეგ, ავანსად სამასი (300) მან. თვითეულს; მოზარდ და მცირეწლოვან მოსამსახურეთ კი, რომლებიც იღებენ ჯამაგირს არა უმეტეს 240 მან., მიეცეთ ავანსის რაოდენობის ნახევარი, ე. ი. 150 მ. ეს ავანსი დაფარულ იქნეს აწინდელ ჯამაგირების მომატების შემდეგ.

2. მიენდოს ფინანსთა მინისტრს გაიღოს 1-ლ მუხლში მოხსენებული ავანსი ამა წლის აპრილში კრედიტის გაუხსნელად.

1919 წ. აპრილის 15.

დედანს ხელს აწერს:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის

უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

---

48. კანონი

სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთა სალიკვიდაციო შემწეობის კანონის (1918 წ. ივლისის 5-ს) მეორე მუხლის შეცვლისა.

1. სალიკვიდაციო დაწესებულებებში მოსამსახურეთა სალიკვიდაციო შემწეობის კანონის მეორე მუხლი („კანონთა კრებული“ 1918 წ., კან. მე-7) შეიცვალოს შემდეგი რედაქციით:

2. მოსამსახურე, რომელიც დათხოვნილი იქნება დაწესებულების გაუქმებისა, გარდაქმნისა ან შტატის შემცირების გამო, მიიღებს დახმარებას ფულად თვიურ ჯამაგირის ერთ მეთორმეტედს ნაწილს სამსახურის ყოველ თვისათვის, მაგრამ არა ნაკლებ ორის კვირის ჯამაგირისა; დახმარება იანგარიშება იმ ჯამაგირის კვალობაზე, რომელიც დათხოვნის დროს ჰქონდა.

1919 წ. აპრილის 15.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის

უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის

თავმჯდომარის მოადგილე **ევ. გეგეჭკორი.**

---

49. წესი

დამფუძნებელ კრების მიერ მიღებულ კანონის, დეკრეტის და დადგენილების გამოქვეყნებისა.

1. ყოველი კანონი, დეკრეტი და დადგენილება, დამფუძნებელ კრების მიერ მიღებული, უნდა გამოქვეყნებულ იქნეს თანახმად 1918 წ. ოქტომბრის 11-ს კანონისა—კანონთა გამოქვეყნებისათვის („კანონთა კრებული“ 1918 წ., კან. მე-76).

2. ყოველ კანონს, დეკრეტს თუ დადგენილებას, რომელსაც დამფუძნებელი კრება მიიღებს, ხელს მოაწერს კრების თავმჯდომარე.

ყოველ კანონსა და დეკრეტს აგრეთვე ხელს მოაწერს მთავრობის თავმჯდომარე. ამ უკანასკნელის ხელის მოუწერლობა ვერ შეაჩერებს კანონის და დეკრეტის გამოქვეყნებას და ძალაში შესვლას.

3. წესი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

1919 წ. აპრილის 15.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის მოადგილე **ევ. გეგეჭკორი.**

---

50. დადგენილება

სასამართლოს განაჩენის შეცვლის შესახებ შემოსულ თხოვნების განხილვისა.

საქართველოს დამფუძნებელ კრების სახელზე შემოსული თხოვნები და შუამდგომლობანი, რომლებიც სასამართლოს განაჩენის შეცვლას შეეხება, დამფუძნებელ კრების მიერ განუხილველი რჩება.

1919 წ. აპრილის 17.

დედანს ხელს აწერს:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

---

51. დ ე კ რ ე ტ ი

სახელმწიფოს ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციისათვის იარაღისა და მასალის შესაძენად ერთი მილიონი მანეთის გადადებისა.

1. გაღებულ იქნეს სახელმწიფოს ხაზინიდან სახელმწიფოს ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციისათვის იარაღისა და მასალის შესაძენად ერთი მილიონი მანეთი.

2. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

1919 აპრილის 17.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის მოადგილე **ევ. გეგეჭკორი.**

---

52. დ ე კ რ ე ტ ი

შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში ორი მილიონი (2.000.000) მანეთის გადაცემისა ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში დაზარალებულთა დასახმარებლად.

1. გადაიდოს რესპუბლიკის ხაზინიდან ორი მილიონი (2.000.000) მანეთი ახალციხე-ახალქალაქის მაზრების მცხოვრებთათვის თესლეულობისა და სურსათის შესაძენად და სამხედრო მოქმედებით გამოწვეულ ზარალის ასანაზღაურებლად.

2. პირველ მუხლში აღნიშნული ორი მილიონი (2.000.000) მანეთი გადაეცეს შინაგან საქმეთა მინისტრს განკარგულებისათვის დანიშნულებისამებრ მოსახმარებლად.

3. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

1919 წ. აპრილის 17.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის მოადგილე **ევ. გეგეჭკორი.**

---

53. დეკრეტი

ამიერ-კავკასიის ბონების გამოცემის განგრძობისა.

1. ნება მიეცეს მთავრობას გამოსცეს საქართველოს რესპუბლიკის საჭიროებისათვის ამიერ-კავკასიის ბონები კიდევ ასი მილიონი მანეთისა.

2. შესაფერი თანხა გამოიცეს სომხეთის და ადერბეიჯანის რესპუბლიკებისათვის და მიეცეს მათ, როცა დასახელებულ რესპუბლიკათა მთავრობანი შესაფერ ხელშეკრულობას დასდებენ საქართველოს მთავრობასთან. ადერბეიჯანის რესპუბლიკას უნდა მიეცეს აგრეთვე ამა წლის იანვრის 30-ს ემისიიდან მიუღებელი ოთხმოცი მილიონი მან., უკეთუ საათანადო ხელშეკრულობას ხელს მოაწერს.

3. ნება მიეცეს მთავრობას ამ კანონის პირველსა და მეორე მუხლში მოხსენებულ დანიშნულებისათვის შესაფერად გაადიდოს ამიერ-კავკასიის ბონების ემისია.

4. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

1919 წ. აპრილის 17.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის მოადგილე **ევ. გეგეჭკორი.**

---

54. კანონი

რესპუბლიკის სახაზინო და კახეთის რკინის გზაზე ტარიფის გადიდებისა.

I. 1917 წლის ივნისის 10-მდე არსებული ტარიფი გადიდებულ იქნეს შემდეგნაირად:

1) სამგზავრო ბილეთი პირველ კლასისა — თხუთმეტჯერ, მეორე კლასისა — თორმეტჯერ, მესამე და მეოთხე კლასისა — ათჯერ;

2) ბარგის (ბაგაჟის) გადაზიდვის ფასი — ოცდაოთხჯერ;

3) საქონლის გამყოლთა ბილეთის ფასი — ათჯერ;

4) სამგზავრო მატარებლით საზიდი ბარგის ტარიფი — ოცდაოთხჯერ;

5) სადგურის ბაქანზე გასასვლელი ფასი ათი შაური — ორჯელ;

6) სარაიონო კომიტეტის ხარჯი სამი მანეთის ნაცვლად იქნეს ხუთი მანეთი;

Ъ 233
1919

7) საქონლის შესანახავ შენობის ასაგებად სამი კაპ. ნაცვლად ხუთი კაპეიკი.

II. პირველ მუხლში აღნიშნული გადიდება ტარიფისა შეეხება როგორც საქართველოს სახაზინო გზას, აგრეთვე კახეთის კერძო გზასაც.

III. კანონი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

1919 წ. აპრილის 17.

დედანს ხედს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის მოადგილე **ევ. გეგეჭკორი.**

Академия наук